

კონვენცია

მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები და სხვა ქვემოთ ხელმოწერი სახელმწიფოები;
იღებენ რა მხედველობაში ევროპის საბჭოს მიზანს მიღწეულ იქნეს ერთსულოვნება მის
წევრთა შორის;

გამოთქვამენ რა სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის
შემდგომი განვითარების სურვილს;

ითვალისწინებენ რა, რომ ამგვარი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სამართლიანობის
აღდგენას და მსჯავრდებულ პირთა სოციალურ რეაბილიტაციას;

იღებენ რა მხედველობაში, რომ ზემოაღნიშნული მიზნების შესრულებისათვის, უცხოელ
პირებს, რომელთაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება სისხლის სამართლის დანაშაულის
ჩადენის საფუძველზე, უნდა მიეცეთ თავისი ქვეყნის ფარგლებში სასჯელის მოხდის
შესაძლებლობა; და

ითვალისწინებენ რა, რომ ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალება იქნება, რომ
განხორციელდეს ამ პირთა გადაცემა მათ ქვეყნებში.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
განსაზღვრებანი

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის:

ა) “მსჯავრდება” – ნიშნავს ნებისმიერ სასჯელს ან ზომას, რომელიც გულისხმობს
სასამართლოს განაჩენის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთას განსაზღვრული ან
განუსაზღვრელი ვადით, სისხლის სამართლის დანაშაულისათვის;

ბ) “განაჩენი” – ნიშნავს იმ სასამართლოს გადაწყვეტილებას ან დადგენილებას,
რომელსაც გამოაქვს სასჯელი;

გ) “სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფო” – ნიშნავს ქვეყანას, სადაც გამოგანილ
იქნა განაჩენი იმ პირის მიმართ, რომელიც შეიძლება იქნეს გადაცემული ან უკვე გადაცემულია;

დ) “მააღმინისგირიებული (მიმღები) სახელმწიფო” – ნიშნავს ქვეყანას, რომელშიც
მსჯავრდებული პირი შეიძლება იქნეს გადაცემული ან უკვე გადაცემულია სასჯელის
მოსახდელად.

მუხლი 2

ზოგადი დებულებანი

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას გააღრმავონ ფართო თანამშრომლობა
მსჯავრდებულთა გადაცემის საკითხებში მოცემული კონვენციის დებულებათა თანახმად.

2. პირი, რომელიც მსჯავრდებულ იქნა ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე, შეიძლება
გადაცემულ იქნეს მეორე მხარის ტერიტორიაზე ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად, მის
მიერ სასჯელის მოხდის მიზნით. ამისათვის მსჯავრდებულს აქვს უფლება მიმართოს სასჯელის
აღმასრულებელ ან მიმღებ სახელმწიფოს, რათა გადაცემულ იქნეს მოცემული კონვენციის
დებულებების თანახმად.

3. გადაცემის მოთხოვნა შესაძლებელია გამომდინარეობდეს სასჯელის აღმასრულებელი
ან მიმღები სახელმწიფოსაგან.

მუხლი 3

გადაცემის პირობები

1. მსჯავრდებული პირი შეიძლება გადაცემულ იქნეს წინამდებარე კონვენციის თანახმად, მხოლოდ შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) თუ ეს პირი მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეა;

ბ) თუ სასამართლოს განაჩენი საბოლოოა;

გ) თუ გადაცემის მოთხოვნის მიღების მომენტისათვის, მსჯავრდებულს მოსახდელად რჩება სულ ცოცხად თვე ან პატიმრობა დაუმთავრებელია;

დ) თუ გადაცემა ეხება მსჯავრდებულის თანხმობით, ან მისი ასაკის ან ფიზიკური თუ გონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ერთ-ერთი სახელმწიფო საჭიროდ თვლის მსჯავრდებულის გადაცემას, ხორციელდება მისი იურიდიული წარმომადგენლის თანხმობით;

ე) თუ ის მოქმედება ან დარღვევა, რომლის საფუძველზეც გამოგანილ იქნა განაჩენი მოიცავს სისხლის სამართლებრივ დანაშაულს მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად ან თუ ეს დარღვევა განხილულ იქნებოდა, როგორც სისხლის სამართლებრივი დარღვევა იმ შემთხვევაში თუ იგი ჩადენილ იქნებოდა ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე; და

ვ) თუ სასჯელის აღმასრულებელი და მიმღები სახელმწიფოები თანახმანი არიან გადაცემაზე.

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ გადაცემაზე იმ პირობებშიც კი, როდესაც მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელი ნაკლებია ვიდრე პირველ (1) აბზაცში გასაზღვრულისა.

3. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან შეერთების შესახებ სიგელის დეკლარაციის დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე დეკლარაციის მეშვეობით განაცხადოს, რომ ის არ იხელმძღვანელებს მე-3 მუხლის ა და ბ პუნქტებში გათვალისწინებული დებულებებით თავის ურთიერთობებში სხვა სახელმწიფოებთან.

4. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ევროპის გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით განმარტოს ტერმინი მოქალაქეობა თავისებური განმარტება წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის.

მუხლი 4

ვალდებულებანი ინფორმაციის მიწოდების მიმართ

1. ნებისმიერი მსჯავრდებული პირი, რომელსაც შეიძლება შეეხოს ეს კონვენცია უნდა იქნეს ინფორმირებული სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერ, წინამდებარე კონვენციის გათვალისწინებულ დებულებათა შესახებ.

2. თუ მსჯავრდებულმა პირმა გამოხატა სურვილი სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფოს მიმართ, რათა დაექვემდებაროს წინამდებარე კონვენციას, აღნიშნულმა სახელმწიფომ ამის შესახებ უნდა შეაგყობინოს მიმღებ სახელმწიფოს, განაჩენის გამოგანიდან უმცირეს ვალებში.

3. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) მსჯავრდებული პირის სახელს, დაბადების თარიღსა და ადგილს;

ბ) მის მისამართს მიმღებ სახელმწიფოში;

გ) იმ ქმედების აღწერას, რომლის საფუძველზეც განაჩენი იქნა გამოგანილი;

დ) ინფორმაციას სასჯელის ბუნებაზე, ხანგრძლივობასა და მიმდინარეობაზე;

4. თუ მსჯავრდებულმა პირმა გამოხატა თავისი სურვილი მიმღები სახელმწიფოს მიმართ სასჯელის აღმასრულებელმა სახელმწიფომ უნდა მიაწოდოს მიმღებ სახელმწიფოს მესამე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნის შესახებ.

5. მსჯავრდებული პირი უნდა იქნეს ინფორმირებული წერილობითი ფორმით ნებისმიერი ქმედების შესახებ, რომელიც განხორციელებულ იქნა სასჯელის აღმასრულებელი ან მიმღები სახელმწიფოს მიერ გემოაღნიშნული პუნქტებიდან გამომდინარე, ისევე როგორც სახელმწიფოს ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია გადაცემის მოთხოვნასთან.

მუხლი 5

მოთხოვნები და პასუხები

1. მოთხოვნები და პასუხები გადაცემის შესახებ უნდა განხორციელდეს წარმოდგენილ წერილობითი ფორმით.

2. მოთხოვნები უნდა გაკეთდეს მომთხოვნი სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოპასუხე სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროს მისამართით. პასუხები მიწოდებულ უნდა იქნეს იმავე გზებით.

3. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ დეკლარაციაში მხარეებს შეუძლიათ აღნიშნონ კავშირის სხვა გზების გამოყენების შესახებ.

4. მოპასუხე სახელმწიფო დაუყოვნებლივ აცნობებს მომთხოვნ სახელმწიფოს, ეთანხმება თუ არა ის გადაცემის მოთხოვნას.

მუხლი 6

დამადასტურებელი საბუთები

1. სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფოს მოთხოვნით მიმღები სახელმწიფო უმრუნველყოფს მას:

ა) საბუთით ან მტკიცებულებით, რომელიც ადასტურებს, რომ მსჯავრდებული არის ამ სახელმწიფო მოქალაქე;

ბ) მიმღები სახელმწიფოს შესაბამისი კანონის ასლით იმ მოქმედების ან დარღვევის შესახებ, რომლის საფუძველზეც გამოგანილ იქნა განაჩენი სასჯელის აღმასრულებელ სახელმწიფოში და, რომელიც შეადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად ან რომელიც განხილული იქნებოდა, როგორც ამ ქვეყნის გერიგორიაზე ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული.

გ) დოკუმენტით, რომელიც შეიცავს 9.2 მუხლში აღნიშნულ ინფორმაციას.

2. თუ არსებობს მოთხოვნა გადაცემის შესახებ, სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფო მიმღებ სახელმწიფოს მოაწვდის შემდეგ საბუთებს, თუ ამ მხარეებს არა აქვთ აღნიშნული, რომ ისინი არ ეთანხმებიან გადაცემას:

ა) განაჩენის დამოწმებულ ასლსა და კანონს, რომლის საფუძველზეც იგი იქნა გამოგანილი.

ბ) დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია სასჯელის უკვე მოხდილი ვადის შესახებ, წინასწარი დაკავების, განაჩენის შემსუბუქებისა და განაჩენის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორების შემცველი ინფორმაციის ჩათვლით.

გ) განცხადებას, რომელიც შეიცავს გადაყვანაზე თანხმობას 3.1 (დ) მუხლის თანახმად, და

დ) საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი სამედიცინო თუ სოცუმრუნველყოფის ორგანოების მიერ წარმოდგენილ მოხსენებას მსჯავრდებულის შესახებ, ინფორმაციით მისი მკურნალობის შესახებ სასჯელის აღმასრულებელ სახელმწიფოში და ნებისმიერი მითითება მიმღებ სახელმწიფოში, მისი შემდგომი მკურნალობის შესახებ.

3. სახელმწიფოებს აქვთ უფლება მოითხოვონ ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნული საბუთები იქამდე, სანამ მოითხოვენ გადაყვანას ან მიიღებენ გადაწყვეტილებას დათანხმდნენ თუ არა გადაყვანაზე.

მუხლი 7

თანხმობა და მისი დამოწმება

1. სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ პირი, რომელსაც ევალება თანხმობის გაცემა გადაყვანის შესახებ 3.1 (დ) მუხლის შესაბამისად, იმოქმედებს ნებაყოფლობით და იურიდიული პასუხიმგებლობის სრული შეგნებით. თანხმობის გაცემის პროცედურა განსაზღვრულ იქნება სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

2. სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფო შესაძლებლობას მისცემს მიმღებ სახელმწიფოს დაადასტუროს იმ კონსულის ან სხვა ოფიციალური პირის მეშვეობით, რომელიც დანიშნულია მიმღებ სახელმწიფოსთან შეთანხმებით, რომ თანხმობა გაცემულია გემოთ მოცემულ | პუნქტში პირველში აღნიშნული პირობების შესაბამისად.

მუხლი 8

გადაყვანის შედეგი სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფოსათვის

1 მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის მსჯავრდებული პირის გადაცემა გულისხმობს სასჯელის აღმასრულებელ სახელმწიფოში განაჩენის სისრულეში მოყვანის შეწყვეტას.

2. სასჯელის აღმასრულებელ სახელმწიფოს არა აქვს უფლება აწარმოოს სისხლის სამართლის საქმე თუ მიმღები სახელმწიფო ჩათვლის განაჩენის სისრულეში მოყვანას დასასრულებლად.

მუხლი 9

გადაყვანის შედეგი მიმღები სახელმწიფოსათვის

1. მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა:

ა) დაუყოვნებლივ განაგრძონ სისხლის სამართლის საქმის წარმოება სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით მეათე (10) მუხლში გათვალისწინებული პირობების თანახმად, ან

ბ) სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცედურის მეშვეობით შეცვალონ სასჯელი გადაწყვეტილებით, რომელიც შეცვლის სასჯელის აღმასრულებელ სახელმწიფოში გამოცემულ სანქციას მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელზე იმავე დანაშაულთან დაკავშირებით და იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრულია მე-11 მუხლში.

2. მიმღები სახელმწიფო საჭიროების შემთხვევაში შეაგყობინებს სასჯელის აღმასრულებელ სახელმწიფოს თუ ამ პროცედურებიდან რომელს დაეყრდნობა მსჯავრდებული პირის გადაყვანამდე.

3. სასჯელის სისრულეში მოყვანა განისაზღვრება მიმღები სახელმწიფოს კანონით და მხოლოდ ამ სახელმწიფოს აქვს უფლება მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

4. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც თავისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად არ შეუძლია ისარგებლოს | პუნქტში მოცემული რომელიმე პროცედურით, მეორე მხარის ტერიტორიაზე დაწესებული ზომების სისრულეში მოსაყვანად იმ პირების მიმართ, რომლებიც გონებრივი მდგომარეობის გამო პასუხს ვერ აგებენ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენაზე და მხარეს, რომელიც მზად არის მიიღოს ამგვარი პირები მათი შემდგომი მკურნალობისათვის შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ განაცხადში მიუთითოს იმ პროცედურებზე, რომლებსაც ის დაეყრდნობა ასეთ შემთხვევაში.

მუხლი 10

სასჯელის ვადის გაგრძელება

1. სასჯელის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მიმღები სახელმწიფო ხელმძღვანელობს სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სასჯელის იურიდიული ხასიათითა და ხანგრძლივობით.

2. თუ სასჯელი თავისი ხასიათითა და ხანგრძლივობით შეუთავსებელია მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობასთან, ან თუ ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა მოითხოვს, მას შეუძლია სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით შეუსაბამოს სანქცია სასჯელს ან ზომას, რომელიც დადგენილია ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით იგივე სისხლისსამართლის დანაშაულისათვის. რაც შეეხება სასჯელის ხასიათს, სანქცია ან ზომა უნდა შეესაბამებოდეს აღმასრულებელ განაჩენს, თავისი ხასიათითა და ხანგრძლივობით ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერ დაწესებულ სანქციას და არ უნდა აღემატებოდეს მიმღები სახელმწიფო კანონმდებლობით დაწესებულ მაქსიმუმს.

მუხლი 11

განაჩენის შეცვლა

სასჯელის შეცვლის შემთხვევაში მიმართავენ მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს. სასჯელის შეცვლის შემთხვევაში კომპეტენტური ორგანოები:

ა) მოვალენი არიან იხელმძღვანელონ დადასტურებული ფაქტებით, რომლებიც მოპოვებულია პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერ გამოგანილი განაჩენის საფუძველზე.

ბ) ვერ შეცვლიან თავისუფლების აღმკვეთ განაჩენს ფულადი ჯარიმით.

გ) შეამცირებენ მსჯავრდებულის მიერ მოხდილი სასჯელის მთლიან ვადას, და

დ) არ დაამძიმებენ მსჯავრდებულის მდგომარეობას და არ იხელმძღვანელებენ მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი მინიმუმით, რომელიც გათვალისწინებულია ჩადენილი დანაშაულის ან დანაშაულობებისათვის.

2. მსჯავრდებულის გადაყვანის შემდეგ განაჩენის შეცვლის პროცედურის განხორციელების შემთხვევაში, მიმღები სახელმწიფო დაგოვებს მას პატიმრობაში ან უზრუნველყოფს ამ პირის ყოფნას მიმღებ სახელმწიფოში განაჩენის შეცვლის პროცედურის გარკვევამდე.

მუხლი 12

შეწყალება, ამნისტია, დანაშაულის შემსუბუქება

ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიიღოს შეწყალების, ამნისტიისა და დანაშაულის შემსუბუქების გადაწყვეტილება, თავისი კონსტიტუციისა ან სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13

განაჩენის გადასინჯვა

მხოლოდ სასჯელის აღმასრულებელ სახელმწიფოს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნის თაობაზე.

მუხლი 14

სასჯელის აღსრულების შეჩერება

მიმღები სახელმწიფო შეახერხებს სასჯელის აღსრულებას, როგორც კი ის მიიღებს სასჯელის აღსრულების სახელმწიფოსაგან შეგყობინებას ნებისმიერი გადაწყვეტილებისა თუ ზომის თაობაზე, რომლის შედეგადაც უქმდება სასჯელის აღსრულება.

მუხლი 15

ინფორმაცია სასჯელის აღსრულების თაობაზე

მიმღები სახელმწიფო მიაწვდის ინფორმაციას სასჯელის აღმასრულებელ სახელმწიფოს სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით:

- ა) თუ ის შეეხება სასჯელის მოხდის დამთავრებას;
- ბ) თუ მსჯავრდებული გაიქცა პატიმრობიდან სასჯელის ვადის დასრულებამდე;
- გ) თუ სასჯელის აღმასრულებელი სახელმწიფო მოითხოვს სპეციალურ ანგარიშს.

მუხლი 16

გრანზიტი

1. მხარე თავის კანონმდებლობის თანახმად, დააკმაყოფილებს მეორე მხარის მოთხოვნას მსჯავრდებულის გრანზიტით გადაყვანის შესახებ თავისი ტერიტორიის გავლით და ეს მხარე მსჯავრდებულს გადაიყვანს თავის ტერიტორიაზე ან ტერიტორიიდან თუ ეს შეთანხმებულია მეორე მხარესთან ან მესამე სახელმწიფოსთან.

2. მხარემ შეიძლება უარი განაცხადოს გრანზიტზე იმ შემთხვევაში:

- ა) თუ მსჯავრდებული არის მისი ქვეყნის მოქალაქე; ან
- ბ) თუ დანაშაული, რომლის საფუძველზეც გამოგანილ იქნა განაჩენი არ ისჯება მისი კანონმდებლობით;

3. მოთხოვნები გრანზიტზე და შესაბამისი პასუხები მიწოდებულ იქნება 5.2 და 5.3 მუხლებში გათვალისწინებული არხებით.

4. მხარემ შეიძლება დააკმაყოფილოს საკუთარი ტერიტორიის გავლით მსჯავრდებულის გრანზიტის მოთხოვნა, რომელსაც აყენებს მესამე სახელმწიფო, თუ ეს სახელმწიფო მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ შეთანხმებულია მეორე მხარესთან.

5. მხარეს, რომელსაც ევალება გრანზიტის უზრუნველყოფა აქვს უფლება პატიმრობაში ჰყავდეს მსჯავრდებული მხოლოდ იმ ვადით, რომელსაც მოითხოვს გრანზიტის პროცედურა.

6. მხარეს, რომელსაც ევალება გრანზიტის უზრუნველყოფა, შეიძლება მოეთხოვოს გარანტია, რომ მსჯავრდებული არ იქნება გასამართლებელი ან მის მიმართ არ დაიწყება დევნა ან გარდა წინა პუნქტებში მოყვანილ შემთხვევებისა, არ იქნება დაკავებული და არ იქნება ხელყოფილი მისი თავისუფლება საგრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ან განაჩენის საფუძველზე, რომელიც გამოგანილ იქნა სასჯელის აღსრულების სახელმწიფოდან მის გამგზავრებამდე.

7. თუ მსჯავრდებული გადაჰყავთ თვითმფრინავით და თვითმფრინავის დაჯდომა არ არის დაგეგმილი მხარის ტერიტორიაზე. გრანზიტის მოთხოვნის წარმოდგენა არ არის საჭირო. თუმცა თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას ეცნობოს მის ტერიტორიაზე ნებისმიერი გრანზიტის შესახებ დეკლარაციაში, რომელიც გაგზავნილია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მისამართით სარატიფიკაციო, მოწონების, მიღების ან შეერთების სიგელების ხელმოწერისა და გადაცემის დროს.

მუხლი 17

ენა და ღირებულებები

1. მეოთხე მუხლის მეორე (2) და მეოთხე (4) პარაგრაფში მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ მხარის ენაზე, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ეს ინფორმაცია, ან ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე.

2. ქვემოთ მოცემული მესამე პარაგრაფის თანახმად თარგმნას არ საჭიროებს გადაყვანის მოთხოვნა და დამამტკიცებელი საბუთები.

3. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის დროს ან სარაგიფიკაციო, მოწონების, მიღების ან შეერთების სიგელების დეკონირებისას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ დეკლარაციაში მოთხოვოს, რომ გადაყვანის მოთხოვნასა და დამამტკიცებელ საბუთებს თანდართული ჰქონდეს თარგმანი თავის ან ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ან იმ ენაზე, რომელსაც იგი მიუთითებს. მას შეუძლია ამ შემთხვევაში გამოთქვამს თავისი მზადყოფნა მიიღოს თარგმანი ნებისმიერ სხვა ენაზე, ევროპის საბჭოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზე შესრულებულ თარგმანთან ერთად.

4. გარდა წინამდებარე კონვენციის 6.2 მუხლში მითითებულისა დოკუმენტები არ საჭიროებენ დამოწმებას.

5. წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი საკითხის შესასრულებლად საჭირო სახსრებს თავზე აიღებს მიმღები სახელმწიფო, გარდა იმ ხარჯებისა, რომელიც გაღებულ იქნა სასაჯელის აღმასრულებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი 18

ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად, როგორც ევროპის საბჭოს წევრი-ქვეყნებისათვის, ასევე იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, მაგრამ მიიღეს მონაწილეობა მის შემუშავებაში. კონვენცია ექვემდებარება რაგიფიცირებას, მიღებას ან მოწონებას. რაგიფიკაციის, მიღების ან მოწონების სიგელები უნდა იქნეს დეკონირებული ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა პირველ დღეს იმ სამთვიანი პერიოდის შემდეგ, როდესაც ევროპის საბჭოში სამი წევრი სახელმწიფოსაგან გამოხატული იქნება სურვილი, რომ ამ კონვენციის დებულებანი მისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებენ, პირველი პუნქტის დებულებების თანახმად.

3. რაც შეეხება სახელმწიფოს, რომელმაც გამოთქვა თავისი თანხმობა იხელმძღვანელოს კონვენციით, მისთვის კონვენცია ძალაში შევა იმ თვის პირველი დღიდან, რომელიც მოსდევს სამთვიან პერიოდს თარიღიდან, როდესაც გადაცემულ იქნა სარაგიფიკაციო, მიღების ან მოწონების სიგელები.

მუხლი 19

ევროპის საბჭოს არაწევრი ქვეყნების შეერთება

1. კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, ხელმომწერ სახელმწიფოებთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მიიწვიოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის საბჭოს წევრი და რომელზეც არ არის აღნიშნული 18.1 მუხლში, რომ მას შეუძლია შეუერთდეს კონვენციას, გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია ხმების უმრავლესობით და გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს სტატუსის მე-20 (დ) მუხლით და ასევე ხელმომწერი მხარეების წარმომადგენელთა ერთსულოვანი თანხმობით.

2. რაც შეეხება ნებისმიერ შეერთებულ სახელმწიფოს, მისთვის კონვენცია ძალაში შევა იმ თვის პირველი დღიდან, რომელიც მოსდევს სამთვიან პერიოდს იმ თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან დეკონირებულ იქნა შეერთების სიგელი.

მუხლი 20

კონვენციის განხორციელების გერიტორია

1. ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, მოწონების ან შეერთების სიგელის გადაცემის დროს, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია დაამზუსტოს ის გერიტორია ან გერიტორიები, რომელზეც გავრცელდება ეს კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, ნებისმიერ დროს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნის სახელზე გაგზავნილი დეკლარაციით გააფართოვოს კონვენციის მოქმედება დეკლარაციაში დაზუსტებულ ნებისმიერ სხვა გერიტორიაზე. ამ გერიტორიისათვის კონვენცია ძალაში შევა სამთვიანი პერიოდის შემდგომი თვის პირველი დღიდან, რომელიც მოსდევს, გენერალური მდივნის მიერ ამ დეკლარაციის მიღების თარიღს.

3. ნებისმიერი დეკლარაცია, რომელიც შედგენილია წინა ორი პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, დეკლარაციაში დაზუსტებული გერიტორიებისათვის, შეიძლება გაუქმებულ იქნეს, შეცვობინებით გენერალური მდივნის სახელზე. გაუქმება ძალაში შევა სამთვიანი პერიოდის შემდგომი თვის პირველი დღიდან, რომელიც მოსდევს გენერალური მდივნის მიერ ამ შეცვობინების მიღების თარიღს.

მუხლი 21

კონვენციის დროებითი მოქმედება

ეს კონვენცია ეხება იმ სასჯელის აღსრულებას, რომელიც გამოტანილ იქნა კონვენციის ძალაში შესვლამდე ან შესვლის შემდეგ.

მუხლი 22

სხვა კონვენციებთან ან შეთანხმებებთან მიმართება

1. წინამდებარე კონვენცია არ ლახავს იმ უფლებებს და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან ექსტრადაციის თაობაზე ან სხვა ხელშეკრულებებიდან სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს დაკავებულ პირთა გადაყვანას, დაპირიპირების ან ჩვენების მიცემის მიზნით.

2. თუ ორმა ან მეტმა მხარემ უკვე დაღო ხელშეკრულება მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ ან სხვა მხრივ გამოსაგა თავისი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ, ან თუ აპირებს ამის განხორციელებას მომავალში, მას შეუძლია ისარგებლოს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით მოცემული კონვენციის მაგივრად.

3. მოცემული კონვენცია არ ლახავს იმ სახელმწიფოების უფლებებს, რომლებიც შეერთებულნი არიან “ევროპულ კონვენციასთან სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენის საერთაშორისო მოქმედების შესახებ” დაღონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები ერთმანეთთან, კონვენციაში განხილული დებულებების დამატების და ხელშეწყობის ან მასში მოცემული პრინციპების განხორციელების მიზნით.

4. თუ გადაცემის განაცხადი შეესაბამება, როგორც წინამდებარე კონვენციას, ასევე ევროპულ კონვენციას სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენის საერთაშორისო მოქმედებების შესახებ ან სხვა შეთანხმებებს, ან ხელშეკრულებებს მსჯავრდებულის გადაყვანის შესახებ, მომთხოვნი მხარე მოთხოვნის წარდგენის დროს მიუთითებს იმ საფუძველს, რომელსაც დაეყრდნო სიგელის შედგენის დროს.

მუხლი 23

საქმის მეგობრული გადაწყვეტა

ევროპის საბჭოს სისხლის სამართლებრივ დანაშაულთა პრობლემებზე არსებული კომიტეტი, ინფორმირებულ უნდა იქნეს წინამდებარე კონვენციის დებულებათა გამოყენების

შესახებ და უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა ხელი შეუწყოს საქმის წარმოების დროს წარმოშობილი ნებისმიერი სირთულის მეგობრულ გადაწყვეტას.

მუხლი 24

დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახეზე გაგზავნილი შეტყობინების გზით.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა სამთვიან პერიოდის შემდგომი თვის პირველი დღიდან, რომელიც მოსდევს გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების თარიღს.

3. წინამდებარე კონვენციის დებულებანი მოქმედებას განაგრძობენ იმ მსჯავრდებულ პირთა მიმართაც, რომლებიც გადაგზავნილ იქნენ ამ კონვენციის დებულებების გათვალისწინებით დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე.

მუხლი 25

შეტყობინებანი

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ-ქვეყნებს და იმ არაწევრ ქვეყნებს, რომლებმაც მიიღეს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ამ კონვენციის შემუშავებაში და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდა ამ კონვენციას.

ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ

ბ. ნებისმიერი სარაგიფიკაციო, მიღების ან მოწონების სიგელის დეკონირების შესახებ.

გ. 18.2 და 18.3; 19.2; 20.2 და 20.3 მუხლების შესაბამისად კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ. ამ კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტის, დეკლარაციის, შეტყობინების ან ინფორმაციის შესახებ.

ამის დასგურად, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილნი პირები ხელს ვაწერთ წინამდებარე კონვენციას.

კონვენცია შესრულებულია ქ. სტრასბურგში 1983 წლის 21 მარტს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია. მათი თითოეული ასლი, დეკონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ აქტებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ-ქვეყანას, არა წევრ ქვეყნებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წინამდებარე კონვენციის შემუშავებაში და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მოწვეულია შესაერთებლად.